



გელათის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და
საყრდენი კედლის მოწყობა

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და
გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკი

რეგიონული განვითარების მეორე პროექტი (RDP 2)

თბილისი, საქართველო

ივლისი, 2019

განახლებულია: იანვარი, 2020

გარემოსდაცვითი სკრინინგი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გელათის მონასტრის მიმდებარედ, დასავლეთ საქართველოში, ქუთაისიდან 12 კმ-ის დაშორებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, რომელიც უკვე შეთანხმებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან, ქვე-პროექტი ითვალისწინებს საყრდენი კედლის (სიგრძე- 103, 4მ, სიგანე - 0,40- 0,80 , სიმაღლე - 1,5- 3 მ) მოწყობასა და გელათის მონასტრამდე მისასვლელის გზის რეაბილიტაციას (სიგრძე 100 მ) (იხ. დანართი 1). გზისა და საყრდენი კედლის მოსაწყობად განკუთვნილი ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და სარგებლობის უფლება აქვს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. ამჟამად, მიწის ნაკვეთით არავინ სარგებლობს და მასზე არ არის განთავსებული რაიმე ტიპის შენობა ან/და ნაგებობა. სააგენტო იქნება პასუხისმგებელი საპროექტო ტერიტორიის მოვლა- პატრონობაზე.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:

- მიწის დამუშავებას ხელით, არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ;
- რკინა-ბეტონის ფილებით ჭების მოწყობას;
- საყრდენი კედლისთვის სადრენაჟე მილების მოწყობას;
- გვირაბის მოწყობას კედლის მიღმა, რათა მოხდეს დავითის წყაროს წყალმომარაგების ქსელის მოვლა-პატრონობა (იხ. დანართი 1);
- ასფალტის საფარის მოწყობა მონასტრამდე მისასვლელის გზისთვის;
- მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა: სახელურების, ტროტუარისა და გარე განათების (26 ცალი) მოწყობა, ნეგატიური ესთეტიკური ზეგავლენის მინიმიზაცია ტერიტორიის გამწვანებით (სუროს დარგვა);

რეგიონული განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში, მგფ-მა განახორციელა სხვადასხვა პროექტები გელათის მონასტრისთვის (კულტურული ზონების მოწყობა გელათის მონასტერთან, მათ შორის ტურისტული ინფრასტრუქტურის, გელათის მონასტრის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები). აქამდე არსებული კედელი, რომელიც დაინგრა მეწყერული პროცესების გამო 2016 წელს, წარმოადგენდა მონასტრამდე მისასვლელი გზის საყრდენს. იმისათვის, რომ თავიდან აცილებულიყო საპროექტო არეალის მდგომარეობის გაუარესება და დაცული ყოფილიყო მიმდებარე ტერიტორია, დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე, აშენდა დროებითი საყრდენი კედელი.

წარმოდგენილი ქვე-პროექტი, მიზნად ისახავდა ახალი საყრდენი კედლის აშენებას. თუმცა, ამ ეტაპზე რაიმე გეოლოგიური საფრთხე არ ფიქსირდება, საზედამხედველო კომპანია „ეპტისას“ დასკვნის საფუძველზე, თუმცა ახალი უფრო ზუსტად შერჩეული საყრდენი კედლის მშენებლობა აუცილებელია გელათის მონასტრამდე მისასვლელი გზის გამაგრებისთვის.

არსებული კედლის ნგრევისა და მიწის სამუშაოების განხორციელების შედეგად, მოხდა არქეოლოგიური არტეფაქტების (თიხის წყალმომარაგების მილების, კანალიზაციის ჭებისა და ქვაფენილის ნარჩენების) აღმოჩენა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილის მიხედვით, დაგეგმილ საქმიანობას არ აქვს არანაირი ზეგავლენა არქეოლოგიურ გათხრების ტერიტორიაზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქმე გვაქვს არქეოლოგიურ აღმოჩენებთან, ქვე-პროექტით დაგეგმილი სამუშაოები განხორციელდება სააგენტოს არქეოლოგის - როლანდ ისაკაძის მიერ და ასევე, მიწის სამუშაოები განხორციელდება ხელით.

იმ შემთხვევაში თუ მიწის სამუშაოების დროს, დამატებით აღმოჩნდა არქეოლოგიური ნივთები, კონტრაქტორი ვალდებულია შეაჩეროს ნებისმიერი ფიზიკური საქმიანობა და შეატყობინოს მგფ-ს, რომელიც თავის მხრივ შეატყობინებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შემდგომი რეაგირებისთვის. სამუშაოები გაგრძელდება მას შემდეგ, რაც სააგენტოსგან იქნება წერილობითი თანხმობა.

(A) ზემოქმედების იდენტიფიცირება

<p>ექნება თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება უმნიშვნელო, მოკლევადიანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, ხოლო გრძელვადიანი ზემოქმედება იქნება პოზიტიური, რასაც განაპირობებს გელათის მონასტრამდე სატრანსპორტო მოძრაობის გაუმჯობესება, რაც გამოიწვევს ტურისტების ნაკადის ზრდას და გარემოზე ისეთი უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, როგორც არის მტვერი, ემისიები, ვიბრაცია და მანქანების მოძრაობით გამოწვეული ხმაური.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება მოსალოდნელი დადებითი გრძელვადიანი ზემოქმედება სოციალურ გარემოზე, რამდენადაც მოხდება ვიზიტორების, ადგილობრივი მოსახლეობისა და ღვთისმსახურთა სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესება. მოხდება საზოგადოებასა და გარემოზე არსებული უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.</p> <p>ძირითადი ზემოქმედება გარემოზე დაკავშირებული იქნება სამშენებლო ფაზასთან, მათ შორის: სამშენებლო ტერიტორიის მართვასა და სამშენებლო ნარჩენების საბოლოო გატანასთან.</p> <p>ქვე-პროექტი განხორციელდება ურბანულ ტერიტორიაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად</p>

	<p>მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემო. შესაბამისად, ისეთი ზემოქმედება, როგორც არის მაგალითად ხმაური, ემისიები, სამშენებლო ნარჩენების გენერირება, სატრანსპორტო მოძრაობის და მისასვლელი გზის დროებითი შეფერხება სამშენებლო ეტაპთან დაკავშირებული საქმიანობის გამო, დროებითი და უმნიშვნელოა და მათი შერბილება განხორციელდება მარტივად, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმით გათვალისწინებული სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით.</p>
<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება იქნება სასარგებლო (ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ტურისტული ნაკადის ზრდა). ქვე-პროექტის განხორციელებით ისარგებლებს როგორც მთლიანად მუნიციპალიტეტი, ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტების ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი და ყველა დაინტერესებული პირი, რომელიც მოისურვებს გელათის მონასტრის მონახულებას. ქვე-პროექტი ასევე გამოიწვევს საწვავის მოხმარების შემცირებას და ადგილობრივების ხარჯების მინიმუმამდე დაყვანას. პროექტი დადებით ზემოქმედებას მოახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე (მტვრის, ემისიების, ვიბრაციის და ხმაურის მინიმუმაცია), რადგან გადაადგილება გახდება უსაფრთხო და ასევე მოხდება მანქანების მოვლა-პატრონობის ხარჯების შემცირება. აღნიშნული ასევე ხელს შეუწყობს ტურიზმის და მცირე ბიზნესის განვითარებას და შექმნის დასაქმების დროებით შესაძლებლობებსა და შემოსავლებს.</p> <p>მიწის ათვისება, ან განსახლების სხვა ალტერნატივების გამოყენება, მოსალოდნელი არ არის.</p> <p>ქვე-პროექტს ექნება უმნიშვნელო, მოკლევადიანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, ხოლო გრძელვადიანი ზემოქმედება იქნება პოზიტიური, რასაც განაპირობებს გელათის მონასტრის სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესება და გარემოზე ისეთი უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, როგორც არის მტვერი, ემისიები, ვიბრაცია და მანქანების მოძრაობით გამოწვეული ხმაური. ზემოთ აღწერილი ნეგატიური ზემოქმედება, რაც დაკავშირებულია შესაძლო, ზემოთ აღწერილ შეწუხებასთან, მოკლე ვადიანია და მოქცეულია სამშენებლო ტერიტორიის საზღვრებში. სატრანსპორტო უსაფრთხოების აღმნიშვნელი</p>

	სათანადო ნიშნების მოწყობა სასარგებლო იქნება ადგილობრივებისთვის და გზის სხვა მომხმარებლებისთვის.
--	---

(B) ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის მოცემული დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?	ქვე-პროექტისთვის ალტერნატივების განხილვა არ იყოს რელევანტური.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	<p>მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება ადვილად შესაძლებელია მშენებლობის ობიექტის შემოსაზღვრით, სატრანსპორტო მოძრაობის მართვით, სამშენებლო ტექნიკის კეთილმოწყობით, სამუშაო საათების დაცვით და ნარჩენების კარგად ორგანიზებული გადატანით, ოფიციალურად შეთანხმებულ უბნებზე.</p> <p>არსებული კედლის ნგრევისა და მიწის სამუშაოების განხორციელების შედეგად, მოხდა არქეოლოგიური არტეფაქტების (თიხის წყალმომარაგების მილების, კანალიზაციის ჭებისა და ქვაფენილის ნარჩენების) აღმოჩენა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილის მიხედვით, დაგეგმილ საქმიანობას არ აქვს არანაირი ზეგავლენა არქეოლოგიურ გათხრების ტერიტორიაზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქმე გვაქვს არქეოლოგიურ აღმოჩენებთან, ქვე-პროექტით დაგეგმილი სამუშაოები განხორციელდება სააგენტოს არქეოლოგის - როლანდ ისაკაძის მიერ და ასევე, მიწის სამუშაოები განხორციელდება ხელით.</p> <p>იმ შემთხვევაში თუ მიწის სამუშაოების დროს, დამატებით აღმოჩნდა არქეოლოგიური ნივთები, კონტრაქტორი ვალდებულია შეაჩეროს ნებისმიერი ფიზიკური საქმიანობა და შეატყობინოს მგფ-ს, რომელიც თავის მხრივ შეატყობინებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შემდგომი რეაგირებისთვის. სამუშაოები გაგრძელდება მას შემდეგ, რაც სააგენტოსგან იქნება წერილობითი თანხმობა.</p> <p>კონტრაქტორი ვალდებულია მოახდინოს არქეოლოგიური ტერიტორიის დემარკაცია და შემოღობვა, მკაცრად მისდიოს არქეოლოგის ინსტრუქციებსა და მითითებებს.</p>

	<p>კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება, რომ ნარჩენები განათავსოს შეთანხმებულ ადგილას, გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან მოპოვებული ინერტული მასალა, თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (საწვავის/ზეთების დაღვრა სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტისა და ბეტონის ნარჩენებით დაბინძურება), ხიდებზე წარმოებული სამუშაოების დროს აკრძალოს მდინარეში ნარჩენების გადაყრა; მოსახლეობის შეწყობა (ხმაურით, მტვერით და ემისიებით) შერბილდება მუშაობის/ მასალების მიწოდების განრიგის დაცვით, სატრანსპორტო მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების შესაბამისი მოვლით და სხვა ღონისძიებებით.</p>
<p>წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?</p>	<p>მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული გზების და ქუჩების რეაბილიტაციის საშუალო და მსხვილმასშტაბიანი ქვე-პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. მსგავსი პროექტების განხორციელებიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე, საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებს არამარტო გზის საფარის შეცვლას, არამედ გარე განათების მოწყობას და ესთეტიკური ზეგავლენის შესამცირებლად, მცენარეული საფარის დარგვას.</p>
<p>ჩართული იყო თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ცოდნა ქვე-პროექტის მომზადების პროცესში?</p>	<p>2015 წლის 4 მარტს, კურსების თემის (ტყიბულის მუნიციპალიტეტი) საჯარო სკოლის შენობაში გაიმართა, ქვე-პროექტის „კულტურული ზონების მოწყობა გელათის მონასტერთან“ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის საჯარო განხილვა.</p> <p>გარემოსდაცვითი მართვის გეგმის სამუშაო ვერსია ხელმისაწვდომი გახდა დაინტერესებული მხარეებისთვის და გამოქვეყნდა მგფ-ს ვებ-გვერდზე 2019 წლის 22 ივლისს.</p> <p>მგფ- სთვის დოკუმენტზე კომენტარებისა და შენიშვნების მიწოდების პერიოდად განისაზღვრა დოკუმენტის გამოქვეყნებიდან 2 კვირა.</p>

(C) რანჟირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	√	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		√
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლებას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (საზოგადოებრივი ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		√
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლეული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		√
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.			

გარემოს დაცვის მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული განვითარების მეორე პროექტი (RDP 2)
ქვე-პროექტის დასახელება	გელათის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და საყრდენი კედლის მოწყობა
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გელათის მონასტრის მიმდებარედ, დასავლეთ საქართველოში, ქუთაისიდან 12 კმ-ის დაშორებით.</p> <p>საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, რომელიც უკვე შეთანხმებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან, ქვე-პროექტი ითვალისწინებს საყრდენი კედლის (სიგრძე- 103, 4მ, სიგანე - 0,40- 0,80 , სიმაღლე - 1,5-3 მ) მოწყობასა და გელათის მონასტრამდე მისასვლელის გზის რეაბილიტაციას (სიგრძე 100 მ) (იხ. დანართი 1). გზისა და საყრდენი კედლის მოსაწყობად განკუთვნილი ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და სარგებლობის უფლება აქვს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. ამჟამად, მიწის ნაკვეთით არავინ სარგებლობს და მასზე არ არის განთავსებული რაიმე ტიპის შენობა ან/და ნაგებობა. სააგენტო იქნება პასუხისმგებელი საპროექტო ტერიტორიის მოვლა- პატრონობაზე.</p> <p>ქვე-პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:</p> <ul style="list-style-type: none"> - მიწის დამუშავებას ხელით, არქეოლოგიის ზედამხედველობის ქვეშ; - რკინა-ბეტონის ფილებით ჭების მოწყობას; - საყრდენი კედლისთვის სადრენაჟე მილების მოწყობას; - გვირაბის მოწყობას კედლის მიღმა, რათა მოხდეს დავითის წყაროს წყალმომარაგების ქსელის მოვლა-პატრონობა (იხ. დანართი 1); - ასფალტის საფარის მოწყობა მონასტრამდე მისასვლელის გზისთვის; - მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა: სახელურების, ტროტუარისა და გარე განათების (26 ცალი) მოწყობა, ნეგატიური ესთეტიკური ზეგავლენის მინიმუმიზაცია ტერიტორიის გამწვანებით (სუროს დარგვა); <p>რეგიონული განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში, მგფ-მა განახორციელა სხვადასხვა პროექტები გელათის მონასტრისთვის (კულტურული ზონების მოწყობა გელათის მონასტერთან, მათ შორის ტურისტული ინფრასტრუქტურის,</p>

	<p>გელათის მონასტრის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები). აქამდე არსებული კედელი, რომელიც დაინგრა მეწყერული პროცესების გამო 2016 წელს, წარმოადგენდა მონასტრამდე მისასვლელი გზის საყრდენს. იმისათვის, რომ თავიდან აცილებულიყო საპროექტო არეალის მდგომარეობის გაუარესება და დაცული ყოფილიყო მიმდებრე ტერიტორია, დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე, აშენდა დროებითი საყრდენი კედელი.</p> <p>წარმოდგენილი ქვე-პროექტი, მიზნად ისახავდა ახალი საყრდენი კედლის აშენებას. თუმცა, ამ ეტაპზე რაიმე გეოლოგიური საფრთხე არ ფიქსირდება, საზედამხედველო კომპანია „ეპტისას“ დასკვნის საფუძველზე, თუმცა ახალი უფრო ზუსტად შერჩეული საყრდენი კედლის მშენებლობა აუცილებელია გელათის მონასტრამდე მისასვლელი გზის გამაგრებისთვის.</p> <p>არსებული კედლის ნგრევისა და მიწის სამუშაოების განხორციელების შედეგად, მოხდა არქეოლოგიური არტეფაქტების (თიხის წყალმომარაგების მილების, კანალიზაციის ჭებისა და ქვაფენილის ნარჩენების) აღმოჩენა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილის მიხედვით, დაგეგმილ საქმიანობას არ აქვს არანაირი ზეგავლენა არქეოლოგიურ გათხრების ტერიტორიაზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქმე გვაქვს არქეოლოგიურ აღმოჩენებთან, ქვე-პროექტით დაგეგმილი სამუშაოები განხორციელდება სააგენტოს არქეოლოგის - როლანდ ისაკაძის მიერ და ასევე, მიწის სამუშაოები განხორციელდება ხელით.</p> <p>იმ შემთხვევაში თუ მიწის სამუშაოების დროს, დამატებით აღმოჩნდა არქეოლოგიური ნივთები, კონტრაქტორი ვალდებულია შეაჩეროს ნებისმიერი ფიზიკური საქმიანობა და შეატყობინოს მგფ-ს, რომელიც თავის მხრივ შეატყობინებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შემდგომი რეაგირებისთვის. სამუშაოები გაგრძელდება მას შემდეგ, რაც სააგენტოსგან იქნება წერილობითი თანხმობა.</p>		
<p>ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)</p>	<p>ჯგუფის ხელმძღვანელი: როზანა ნიტი</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტები:</p> <p>დარეჯან კაპანაძე - გარემოსდაცვითი,</p> <p>სოფია გეორგივა- სოციალური</p>	
<p>განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)</p>	<p>განმახორციელებელი:</p>	<p>სამუშაოთა ზედამხედველი:</p>	<p>სამუშაოთა კონტრაქტორი: შპს ჯავა</p>

	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	საკონსულტაციო კომპანია „ეპტისა“	
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	საქართველო 0105, თბილისი, კრწანისის ქ #58 ტელ: 995 591006962; +995591614007		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	გზისა და საყრდენი კედლის მოსაწყობად განკუთვნილი ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და სარგებლობის უფლება აქვს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. ამჟამად, მიწის ნაკვეთით არავინ სარგებლობს და მასზე არ არის განთავსებული რაიმე ტიპის შენობა ან/და ნაგებობა. სააგენტო იქნება პასუხისმგებელი საპროექტო ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე.		
ფიზიკური და ბუნებრივი გარემო	<p>გელათის მონასტერი მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტში. ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყიბულის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება ამბროლაურის მუნიციპალიტეტს, სამხრეთით - თერჯოლის, აღმოსავლეთით - ჭიათურის, ხოლო დასავლეთით - წყალტუბოს მუნიციპალიტეტები. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ფართობია 470 კმ². თბილისიდან დაშორებულია 264 კმ-ით, ხოლო ქუთაისიდან - 42 კმ-ით.</p> <p>ტყიბულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ქვემო იმერეთში, ზღვის დონიდან 600-800 მეტრ სიმაღლეზე. რელიეფი მთაგორიანია. მუნიციპალიტეტი ხასიათდება საკმაოდ ნოტიო ზღვის კლიმატით, ზომიერი, შედარებით თბილი ზამთარით და ცხელი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,3°C, ხოლო აგვისტოსი - 23,3°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 1380 მმ (უახლოესი მეტეოროლოგიური სადგურის (ქუთაისის აეროპორტი) მონაცემების მიხედვით). რეგიონის ნიადაგები მრავალფეროვანია. მდ. რიონის გასწვრივ, დაბლობ ადგილებში გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები, დაბლობის შემადგენელ ადგილებში ძირითადად ჭარბობს სუბტროპიკული ეწერი ნიადაგები, ხოლო მთისწინებში - ყვითელმიწა ნიადაგები. რეგიონის მთიან ნაწილში</p>		

	<p>ჩრდილოეთისკენ გავრცელებულია ყვითელ-ყომრალი ნიადაგები.</p> <p>რეგიონში წარმოდგენილია სუბტროპიკული ნოტიო ვაკისა და მთისწინების, ასევე მთის ტყიანი ლანდშაფტები. არატყიანი მდელოები ძირითადად გამოიყენება საძოვრებად.</p> <p>ქვე-პროექტის განხორციელების ადგილის მიმდებარე ტერიტორია დაფარულია შერეული ფოთლოვანი ტყით, სადაც გავრცელებული სახეობებია: რცხილა, წიფელი, მუხა, კუნელი, გარკვეულ მონაკვეთებზე: წიფელი, ცაცხვი, თელა, წაბლი, ბზა, წყავი. მათგან წაბლი და ბზა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. მონასტრის გალავნის მიმდებარე ტერიტორიაზე არის კაკლის ხეები, რომლებიც ასევე შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.</p> <p>ტყეში გავრცელებულია მგელი, მელა, ტურა, კვერნა, კურდღელი, ტყის თაგვი.</p> <p>სოფელი გელათი, რომლის სიახლოვეს მდებარეობს გელათის მონასტერი, მიეკუთვნება კურსების თემს. სოფელი მდებარეობს ოკრიბის ქვაბულში, მდინარე წყალწითელას მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 400 მეტრ სიმაღლეზე. 2012 წლის აღწერით სოფელში ცხოვრობს 861 კაცი. სოფელში არის ამბულატორია და საჯარო სკოლა, ასევე რკინიგზის სადგური რიონი-ტყიბულის ხაზზე.</p> <p>ტყიბულის მუნიციპალიტეტის მშენებაა გელათის მონასტერი, რომელიც შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. აქვე მახლობლად არის მოწამეთის სამონასტრო კომპლექსი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს მუხურას ჩანჩქერის და ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლები.</p> <p>კომპლექსის ძირითადი ტაძარი არის ღვთისმშობლის სახელობის, რომელიც მდებარეობს კომპლექსის ცენტრში. მისგან აღმოსავლეთით მდებარეობს უფრო მცირე, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, ხოლო დასავლეთით - წმინდა ნიკოლოზის სახელობის ორსართულიანი ეკლესია და მის უკან აკადემიის შენობა. ძირითადი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით გადმოედინება წყარო, რომლის თავზეც აღმართულია სამრეკლო. ეს ძეგლები ქმნის ერთიან სრულყოფილ არქიტექტურულ ანსამბლს, რომლის მთავარი ელემენტია</p>
--	---

	<p>ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. სხვა შენობებთან ერთად მონასტერი ჩანს ერთიან მხატვრულ სახედ.</p> <p>გელათის სამონასტრო კომპლექსს გარს აკრავს ქვის გალავანი. ამჟამად შესასვლელი მდებარეობს აღმოსავლეთ ნაწილში. თუმცა თავდაპირველად მონასტრამდე მისასვლელი გზა მიდიოდა სამხრეთით მდებარე კარიბჭემდე, სადაც დაკრძალულია დავით აღმაშენებელი. კარიბჭეზე ჰკიდია რკინის ჭიშკარი, რომელიც დემეტრე პირველმა (1125-1156) ჩამოიტანა განჯიდან, განჯის ალების აღსანიშნავად. საუკუნეების მანძილზე სამხრეთ კარიბჭე რამდენჯერმე აღდგინეს, ბოლოს კი დახურეს.</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან</p>	<p>უახლოესი ლიცენზირებული მუნიციპალური ნაგავსაყრელი მდებარეობს ქუთაისი, 14 კმ-ის დაშორებით საპროექტო ტერიტორიიდან.</p>
<p>კანონმდებლობა</p>	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც B კატეგორიის პროექტი.</p> <p>ქვე-პროექტი მგფ-სათვის ოფიციალურად წარმოდგენილი იქნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ და წარმოდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საჭიროებას და პრიორიტეტს.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობა არ ითხოვს გარემოსდაცვით მიმოხილვას, ნებართვას ან სხვა სახის შეთანხმებას, თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ol style="list-style-type: none"> i. სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; ii. კონტრაქტორი ვალდებულია, აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); iii. კონტრაქტორი ვალდებულია, მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს, ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა);

	<p>iv. მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ზედმეტი გრუნტის განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან;</p> <p>v. სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე;</p> <p>vi. ინერტული მასალის შექმნის/მოპოვებისა და ნარჩენების განთავსების თაობაზე შეთანხმებები უნდა იქნეს წარმოდგენილი მგფ-ში;</p> <p>vii. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად, წლის განმავლობაში წარმოიქმნება 200 ტონაზე მეტი არა სახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან 120 კგ-ზე სახიფათო ნარჩენი, კომპანია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - დანიშნოს გარემოსდაცვითი მმართველი და მის შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს; - მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინოს ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიში; - მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. <p>viii. კონტრაქტორს უნდა ჰქონდეს ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების მართვის ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად, ნაცვლად შექმნისა;</p> <p>კონტრაქტორმა შპს „ჯავა“ წარმოადინა შემდეგი დოკუმენტები :</p> <ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება; - კერძოს მესაკუთრისგან წერილი ინერტული მასის მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე განთავსებისთვის; - ინერტული მასალების ლიცენზირებული კონტრაქტორისგან შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. <p>დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.</p>
--	--

საჩივრების განხილვის მექანიზმი

საჭიროებისამებრ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა საჩივრების განხილვის მიზნით, შეიქმნა სათანადო მექანიზმი. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტოს მხრიდან ამ საჩივრების მიღებაზე, განხილვასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი იქნება **როლანდ ისაკაძე** - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმ ნაკრძალის მმართველი, ტელ: 577 278 017,; ხოლო მგფ-ს მხრიდან - **ნუცა გუმბერიძე** (ტელ: +995 598 88 20 19, feedback@mdf.org.ge)

თუ საჩივრით დასმული საკითხი არ გადაიჭრება ადგილობრივ დონეზე, ის შემდგომი რეაგირების მიზნით გადაიგზავნება მგფ-ში. მგფ არეგისტრირებს ყველა შემოსულ საჩივარს, შესაბამის კომენტარებს და გადაჭრის გზებს. საჯარო კონსულტაციების დროს ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული იქნა საჩივრების განხილვის საკითხებზე და საკონტაქტო პირების შესახებ.

საჯარო კონსულტაცია

<p>სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?</p>	<p>2015 წლის 4 მარტს, კურსების თემის (ტყიბულის მუნიციპალიტეტი) საჯაროს სკოლის შენობაში გაიმართა, ქვე-პროექტის „კულტურული ზონების მოწყობა გელათის მონასტერთან“ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის საჯარო განხილვა.</p> <p>გარემოსდაცვითი მართვის გეგმის სამუშაო ვერსია ხელმისაწვდომი გახდა დაინტერესებული მხარეებისთვის და გამოქვეყნდა მგფ-ს ვებ-გვერდზე 2019 წლის 22 ივლისს.</p> <p>მგფ- სთვის დოკუმენტზე კომენტარებისა და შენიშვნების მიწოდების პერიოდად განისაზღვრა დოკუმენტის გამოქვეყნებიდან 2 კვირა.</p>
---	---

დანართები

დანართი 1: ობიექტის გეგმა, ფოტოები ;
 დანართი 2: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი;
 დანართი 3: საკადასტრო ინფორმაცია
 დანართი 4: ნებართვები, შეთანხმებები.

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შექმენა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H
	J. სოციალური რისკის მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი I

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შემენილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შექმნილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამსხნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ACTIVITY	PARAMETER	MITIGATION MEASURES CHECKLIST
<p>0. ზოგადი პირობები</p>	<p>ინფორმირება და უსაფრთხოება</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მიწოდებული ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; (b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; (c) გაცემულია მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; (d) კონტრაქტორი აცხადებს ოფიციალურ თანხმობას, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; (e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხურათ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთათ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); (f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მარკინგებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.
<p>A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტერის შესამცირებლად; (b) პნევმატური ბურლით ნგრევის პროცესში მტერის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამავით და/ან მტერის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით; (c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე; (d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დაწვა; (e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; (f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტერის წარმოქმნის შემცირების მიზნით.
	<p>ხმაური</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით; (b) ოპერირებისას გენერატორების, ჰაერის კომპრესორებისა და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს საცხოვრებელი ტერიტორიებიდან; (c) სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოდრონ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით; (d) უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე; (e) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი; (f) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; გამოყენებული უნდა იქნეს მაცურები.
	<p>წყლის ხარისხი</p>	<ul style="list-style-type: none"> (a) კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწიოს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც დაცული უნდა იქნეს წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს წყალგაუმტარი მასალით. გატარებული უნდა იქნეს სედიმენტების კონტროლის ღონისძიებები, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან სილის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის სედიმენტების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში. (b) კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ზეთების, გამხსნელების და საღებავების შესაბამის შენახვა და გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩაღვრა ხევში, ხიდის პარაპეტების შესაღებად არ უნდა იქნეს

		<p>გამოყენებული პულვერიზატორი. პოტენციურად დამაბინძურებელი მასალები არ უნდა იქნეს დასაწყობებული მდინარიდან 50 მეტრში. არ უნდა მოხდეს მასალებისა და ნარჩენების ჩაყრა მდინარეში.</p> <p>(c) მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე;</p> <p>(d) მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა ისე, რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით.</p> <p>(e) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი).</p> <p>(f) არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში.</p>
	ნარჩენების მართვა	<p>(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს დროებითი და საბოლოო განთავსების ადგილები;</p> <p>(b) ინერტული სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინერტული სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო სხვა სახის ნარჩენები უნდა შეინახოს სპეციალურ კონტეინერებში;</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს შესაბამისად წინასწარ შეთანხმებულ ადგილას.</p> <p>(d) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>(e) აკრძალულია საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების დაწვა.</p> <p>(f) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება (გარდა აზბესტისა).</p>
	მასალების მიწოდება	<p>a) გამოყენებული უნდა იქნეს ინერტული მასალის არსებული კარიერები, რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>b) ინერტული მასალის ახალი კარიერის ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>c) ინერტული მასალის კარიერი ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია;</p> <p>d) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში.</p> <p>e) ხის მასალები უნდა იქნეს მოპოვებული მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;</p> <p>f) კონტრაქტორი ვალდებულია, წარუდგინოს მგფ-ს ლიცენზიების, ნებართვების და სხვა სახის შეთანხმებების ასლები, იმის დასადასტურებლად, რომ ყველა მასალა კანონიერი ლიცენზირებული მომწოდებლისაგან იქნა შემენილი;</p> <p>g) სატრანსპორტო მოძრაობის შესაბამისი ნიშნების განთავსება;</p>
	მიწის სამუშაოები	<p>a) ნიადაგის ზედა ფენა უნდა მოიჭრას სამუშაოების დაწყებამდე;</p> <p>b) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენახული უნდა იქნეს ისე, რომ შეუნარჩუნდეს ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური მახასიათებლები, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვის ადგილი უნდა შეიღობოს და დაცული უნდა იქნეს ეროზიისაგან.</p> <p>c) ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული უნდა იქნეს ლანდშაფტის აღდგენის სამუშაოებში;</p> <p>d) გამოუყენებელი ნიადაგი განაწილებული უნდა იქნეს შემოგარენში;</p>

		<p>e) ნიადაგის ზედა ფენა უნდა ინახებოდეს განცალკევებულად ქვედა ფენისაგან. მოხსნილი ნიადაგით უნდა მოხდეს ნაყოფიერი ფენის აღდგენა თავდაპირველ სიღრმემდე, რომელიც შეფასდება ვიზუალურად ნიადაგის ფენის მოხსნამდე. ნაყოფიერი ფენის აღდგენის სამუშაოები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ჯერ აღდგენილი იქნეს დასაწყობების ადგილიდან მოშორებით მდებარე ადგილები, რითაც აცილებული უნდა იქნეს ტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილ ნიადაგზე. ნიადაგის აღდგენის შემდგომ. უნდა იქნეს გაფხვიერებული, დაცული უნდა იქნეს მისი სტაბილურობა და ხელი შეეწყოს მცენარეული საფარის აღდგენას.</p> <p>f) არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოები უნდა შეწყდეს, აღნიშნული შესახებ ეცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს და სამუშაოები განახლდეს მხოლოდ წერილობითი ნებართვის მიღების შემდგომ.</p> <p>g) კონტრაქტორი ვალდებულია მოახდინოს არქეოლოგიური ტერიტორიის დემარკაცია და შემოღობვა, მკაცრად მისდოს არქეოლოგის ინსტრუქციებსა და მითითებებს.</p>
<p>H. სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ; ▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მისასვლელები მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან, ოფისების შენობებთან.
<p>I. სოციალური რისკის მართვა</p>	<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი</p>	<p>a) ადგილობრივი საკონტაქტო პირის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციასა და მოთხოვნების/საჩივრების მიღებაზე.</p> <p>b) ადგილობრივი თემების გაცნობა გარე სამუშაო ძალასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის პოტენციური კონფლიქტების იდენტიფიცირებისა და პროაქტიულად სამართავად.</p> <p>c) ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სექსუალური დაავადების რისკებთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება გარე სამუშაო ძალის არსებობას და ადგილობრივი თემების მოცვა ცნობიერების ამაღლებაში.</p> <p>d) მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირება მშენებლობის და სამუშაო გრაფიკების, მომსახურების შეწყვეტის, შემოვლითი მარშრუტებისა და დროებითი ავტობუსის მარშრუტების, აფეთქებისა და ნგრევის შესახებ.</p> <p>e) სამშენებლო სამუშაოების შეზღუდვა ღამით. აუცილებლობის შემთხვევაში, ყურადღებით დანიშნოს ღამის საათები და ეცნობოს ზეგავლენილ მოსახლეობას, რათა მათ შეძლონ მიიღონ საჭირო ზომები.</p>

		<p>f) არანაკლებ ხუთი დღე სერვისის შეფერხების შემთხვევაში (წყლის, ელექტროენერგიის, სატელეფონო და ავტობუსის მარშრუტების ჩათვლით) ეცნობოს დაზარალებულ მოსახლეობას განცხადებით საპროექტო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებზე, დაზარალებულ სახლებზე/ბიზნეს საკუთრებებზე.</p>
	<p>შრომის მართვა</p>	<p>a) სამუშაო ბანაკის რაც შეიძლება შორს განთავსება ადგილობრივი მოსახლეობისგან. b) დაიწყეთ სამუშაო ბანაკის განთავსება და ფუნქციონირება მეზობელ თემებთან კონსულტაციით. c) რამდენადაც შესაძლებელია, უნარშეზღუდულ ან ნახევრად კვალიფიციურ მუშაკთა შეგროვება ადგილობრივი თემებიდან. დასაქმებულთა გადასამზადებელი ტრენინგი ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდის მიზნით, სადაც და როცა იქნება შესაძლებელი. d) ადეკვატური სამუშაო ნაგებობების (საპირფარეშოები და გადასავლები ადგილები) უზრუნველყოფა სამუშაო ტერიტორიაზე, ადეკვატური აღჭურვილობებით, ცივი და ცხელი წყლითა და ხელის გასაშრობი დანადგარებით. დროებითი სეპტიკური ავზების შექმნა ყველა საცხოვრებელი სამუშაო ბანაკისთვის მიმდებარე წყლის კალაპოტების დაბინძურების გამოწვევის გარეშე. e) დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ურთიერთობის მენეჯმენტზე, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ქცევის კოდექსის დადგენა და მისი მკაცრად დაცვის მოთხოვნა, მათ შორის მუშებისა გათავისუფლებასა და ადეკვატურ ფინანსურ ჯარიმებზე.</p>

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება ;	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია ტრანსპორტირების გზების გასწვრივ დასახლებულ პუნქტებში	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

<p>მიწის სამუშაოები</p>	<p>ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე;</p> <p>ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე;</p> <p>შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და აღნიშნულის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ.</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოჭრილია მიწის სამუშაოების დაწყებამდე;</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობებულია შესაბამისად; მოწყობილია დამცავი ბარიერები; ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოიყენება მიმდებარე ლანდშაფტის აღდგენისათვის</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია</p>	<p>შემოწმება</p>	<p>მიწის სამუშაოების პროცესში</p>	<p>სამშენებლო და მისი მდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება</p> <p>ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p> <p>ზედაპირული ნიადაგის დაკარგვის პრევენცია</p>	<p>მგვ</p> <p>მშენებლობის ზედამხედველი</p>
-------------------------	--	-----------------------------	------------------	-----------------------------------	---	--

<p>ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვება</p>	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.</p>	<p>კარიერები</p>	<p>დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება</p>	<p>ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში</p>	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია;</p> <p>სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	<p>მგფ, მშენებლობის ზედამხედველი</p>
<p>სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა</p>	<p>სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;</p> <p>ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია;</p> <p>ნარჩენების განთავსების ტერიტორია</p>	<p>ინსპექტირება</p>	<p>პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში</p>	<p>სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება</p>	<p>მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, ვანის მუნიციპალიტეტი</p>
<p>ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა</p>	<p>სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება;</p> <p>სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი</p>	<p>სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები</p>	<p>ინსპექტირება</p>	<p>სამშენებლო სამუშაოების პერიოდში</p>	<p>სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება</p>	<p>მგფ, მშენებლობის ზედამხედველი</p>

	განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.					
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	<p>მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა;</p> <p>მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობა სთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა</p>	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ინფორმაციის გაზიარება და საჩივრების განხილვა	<p>სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობა (განსაკუთრებით სამშენებლო ობიექტის მიმდებარე მიწის მფლობელები) ინფორმირებულია.</p> <p>გამოცხადებულია საჩივრის განხილვის საკონტაქტო ინფორმაცია. საჩივრების ჟურნალი შენარჩუნებულია</p>	<p>სამშენებლო ტერიტორია და / ან მიმდებარე დასახლება და შენობები</p> <p>სამშენებლო ტერიტორიის ახლომდებარე დასახლება და შენობები</p>	<p>პირადად, ფოსტით, ტელეფონით ან სხვა საშუალებით (ჩანაწერებით)</p> <p>საჩივრების განხილვის მექანიზმზე ინფორმაციის მონაცემების არსებობა ხელმისაწვდომ ადგილას; მონაცემები საჩივრების ჟურნალზე, დროული რეაგირება/გადაწყვეტილების მიღება,</p>	<p>სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე (მინ. 2 კვირა)</p> <p>ქვეპროექტის ხანგრძლივობის განმავლობაში</p>	<p>ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებული შემფოთების შემცირება, კითხვებისა და უკუკავშირის შესაძლებლობა</p> <p>დარწმუნება, რომ კითხვების და საჩივრების დაკვალიანება დროულად ხდება</p>	<p>კონტრაქტორი (მონიტორინგი მგფ-ს მიერ)</p> <p>მგფ</p> <p>(ადგილობრივი ხელისუფლების, კონტრაქტორის დახმარებით)</p>

			უკუკავშირი და უკმაყოფილებები			
შემთხვევითი დაზიანების აღდგენა და კომპენსაცია	მფლობელები, რომლებიც განიცდიან მოსავლის, ნაგებობების ან სხვა აქტივების დაკარგვას ან დაზიანებას, მშენებლობის შედეგად, სათანადო კომპენსაციას მიიღებენ ან მათი დაზიანებები აღდგენილი იქნება	სამშენებლო ტერიტორია	მგვ აღნიშნავს დაზიანებების არსებობასა და კომპენსაციების/აღდგენების შესახებ ინფორმაციას ზედამხედველების ანგარიშებისა და ტერიტორიაზე ვიზიტის მეშვეობით	ქვეპროექტის ხანგრძლივობის განმავლობაში	პროექტის ტერიტორიაზე მოსახლეობის აქტივები და საარსებო წყაროები გაუმჯობესდა ან მინიმალურ დონეზე აღდგენილია წინა პროექტის დონეზე.	კონტრაქტორი (მგვ-ს და ზედამხედველობის კონსულტანტის მონიტორინგი)
საოპერაციო ფაზა						
რეაბილიტირებული გზისა და კედლის მოვლა-პატრონობა	სათანადო საგზაო ნიშნების დაყენება მოძრაობის უსაფრთხოებისათვის; გზის შეკეთების სამუშაოების წარმოებისას შესაბამისი მონაკვეთების მონიშვნა; გზის შეკეთების სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ასფალტის და სხვა ნარჩენების განთავსება გამოყოფილ ნაგავსაყრელზე.	რეაბილიტირებული გზა და კედელი	ინსპექტირება	მოვლა-შენარჩუნების სამუშაოების წარმოების დროს	საგზაო შემთხვევებისა და მოძრაობის შეფერხების თავიდან აცილება	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დანართი 1: ქვე-პროექტის ადგილმდებარეობის რუკა და სურათები

ა





ვიზიტორთა ცენტრი



გელათის
მონასტერი







დანართი 2. სამუშაოების ზედამხედველობის შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation



KA990152064827819

№14/2879

17 / ივლისი / 2019 წ.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების
ფონდის აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ გიორგი შენგელაას
მის. ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N150

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, დაგეგმილია გელათის სამონასტრო კომპლექსში მისასვლელი გზისა და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია.

დავითის წყაროს რეაბილიტაციის სამუშაოებისას, ჩამოშლილი ტერიტორიის ქვედა ნიშნულზე გამოვლინდა კულტურული და არქეოლოგიური ფენები, რის გამოც, გელათის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი გზის და საყრდენი კედლის მოწყობის პროექტი დაიგეგმა ისე, რომ არ ყოფილიყო შემშებლობაში არქეოლოგიურ ფენებთან, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ მინის სამუშაოების დროს კვლავ გამოვლინდეს სხვა კულტურული და არქეოლოგიური ფენები.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვანჩნია, გელათის სამონასტრო კომპლექსში მისასვლელი გზისა და საყრდენი კედლის რეაბილიტაციის დროს, მინის სამუშაოების მიმდინარეობისას განხორციელდეს არქეოლოგიური ზედამხედველობა, რომელსაც უზრუნველყოფს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი როლანდ ისაკაძე.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

სელინაშვილი
შანიბაძისული
ვლემარეწულაძე



ნიკოლოზ ანთიძე

დანართი 3. საკადასტრო ინფორმაცია



საქართველოს რეგისტრის სამსახური № 39.07.31.032

ამონაწერი საჯარო რეგისტრიდან

განჯილვის რეგისტრაცია: N 882016462871 - 22/07/2016 12:57:24
 მიმწოდებლის თარიღი: 22/07/2016 16:32:24

საკუთრების განყოფილება

მონიშვნა	საკუთრების სახეობა	კატეგორია	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების განსაკუთრება
39 07 31 032	კომუნალური	31	032	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულება. ფართობი: 5150.00 კვ.მ.

მასშტაბი: რაიონი გეგმული, სოფელი გეგმითი

მესაკუთრის განყოფილება

განჯილვის რეგისტრაცია: ნომერი 882012131446, თარიღი 28/03/2012 15:07:05
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/05/2012

- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:
- მიმართვა № 2/1055, დამაწესებლის თარიღი: 25/05/2012, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინტეგრირებული რეგისტრაციის სისტემის სახელმწიფო ტერმინალის მეშვეობით დაქვემდებარების საბაზისის საშუალებით

მესაკუთრის სახელი: ილია

მესაკუთრის სახელი: ილია

იპოთეკა

საგადასახლო გარეგნობა: რეგისტრირებული არ არის

სარეგისტრაციო

დანართი 4. ნებართვები, თანხმობები, ხელშეკრულებები

<p>მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან სამშენებლო ნარჩენების განთავსებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება</p>	
<p style="text-align: center;">მომსახურების ხელშეკრულება N12</p> <p style="text-align: right;">04.02.2020წ</p> <p>ქ. თბილისი</p> <p>შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, მისი დირექტორის გიორგი შუბოშვილის სახით, (შემდგომში წოდებული როგორც „შემსრულებელი“) ერთი მხრივ და მუორტეს მხრივ შპს „ჯედა“ წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჯავახიძის სახით, (შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი“) მუორტეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საქარმოს წესდების მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდგომ:</p> <p>1.1 შემსრულებელი ორგანიზაციის 2017 წლის 08 თებერვლის N8-ო ბრძანების საფუძველზე, ახორციელებს დაახლოებით 300 (სამასი) ტონა იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მიერ წარმოქმნილი სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენის განთავსების მომსახურებას შემსრულებლის ბაღანსზე არსებულ ქკაპლის, ქ. მარწყელის, ქ. ზოლდისის, ქ. ზონხატურის, ქ. ოზურგეთის, ქ. თერჯოლის, ქ. სამტრედიის, ქ. ზუგდიდის, ქ. წნორის, ქ. ახალციხის, ქ. ქუთაისი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (შემდგომში – მომსახურება).</p> <p>მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები</p> <p>2.1 შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს დამკვეთს და უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღნიშნული მომსახურების გაწევა 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.</p> <p>მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები</p> <p>3.1 შემსრულებლის უფლება-მოვალეობები:</p> <p>3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.</p> <p>3.1.2 მომსახურების გაწევისას დაიცვას საერთაშორისო სტანდარტებითა და ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული პირობები.</p> <p>3.1.3 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადამი დამკვეთისაგან მიითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.</p> <p>3.1.4 დამკვეთისაგან მიითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.</p> <p>3.2 დამკვეთის უფლება-მოვალეობები:</p> <p>3.2.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიითხოვოს შემსრულებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.</p>	<p>3.2.2 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადამი და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.</p> <p>3.2.3 შემსრულებლის კუთვნილ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე ნარჩენის შემოტანა უზრუნველყოს სახანძრო და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.</p> <p style="text-align: center;">მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება</p> <p>4.1 1 (ერთი) ტონა იურიდიული და/ან ფიზიკური პირების მიერ წარმოქმნილი სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენის განთავსების მომსახურების ღირებულება შეადგენს 10 (ათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. დამკვეთი, შემსრულებლის მიერ გასაწევი მომსახურების შესაბამის ანაზღაურებას უზრუნველყოფს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, ყოველიფურად ფაქტურად შეტანილი ნარჩენის საერთო მოცულობის შესაბამისად.</p> <p>4.2 დამკვეთი ვალდებულია ჩარიცხოს თანხა შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის ატვირთვიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.</p> <p>4.3 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მხარეები ადგენენ ნარჩენების განთავსების აქტს, რაც ადასტურებს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აკრეფილად შესრულებას.</p> <p>4.4 შემსრულებლის მხრიდან ნარჩენების განთავსების აქტს ხელს აწერს შემსრულებლის სტრუქტურული ერთეულის - რეგიონული მართვის დეპარტამენტის თანამშრომელი შესაბამის რეგიონში.</p> <p style="text-align: center;">მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი</p> <p>5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და აკრეფილად შესრულებამდე - 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.</p> <p>5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.</p> <p style="text-align: center;">მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება</p> <p>6.1 დამკვეთსა და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მოუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.</p>

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით მხოლოდ წერილობით.

7.2 ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი ორგანიზაციის 2017 წლის 08 თებერვლის N8-ო ბრძანების დანართში, რომლითაც რეგულირდება შესატანი ნარჩენის სახეობები და საფასური შვეა რაიმე სახის ცვლილება, ხელშეკრულება დაკორექტირდება შესაბამისად.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსრულებელი:

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, იურიდიული მის: ქ. თბილისი, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N14 მე-3 ხართული, საიდენტიფიკაციო კოდი: 404942470, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი: GE51TB7161936080100005.

ხელმოწერა _____ გიორგი შუბოშვილი

დამკვეთი:

შპს „ჯავა“ იურიდიული მის: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ქვიშხეთის ქ., კორპ. N6, ბ. 25 საიდენტიფიკაციო კოდი: 200216186


ხელმოწერა _____ გიორგი ჯავახაძე

კერძო მესაკუთრისგან მიღებული თანხმობა ზედმეტი გრუნტის მის საკუთრებაში
არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებაზე

შპს „ჯავა“-ს გენერალურ
დირექტორს გიორგი ჯავახაძეს
ქ. ტყიბულის რ-ნის სოფ. გელათში
მცხოვრები ზაურ დალუნაშვილის
პ/ნ: 60001072710
ტელ: 558 313 314

განცხადება

მომივიდა ინფორმაცია, რომ შპს „ჯავა“ გელათის
მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ახორციელებს გზის
რეაბილიტაციის სამუშაოებს და იჭრება გრუნტი. გთხოვთ,
მოჭრილი გრუნტი განათავსოთ ჩემს კუთვნილებაში არსებულ
ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ტყიბულის რაიონ სოფელ
გელათში (საკადასტრო კოდი: 39.07.31.087).

ხელმოწერა/ 
თარიღი/ 11.11.19წ.